

ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ

თურქულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო

გიული ალასანიამ

თბილისი

2023

წიგნი აცნობს მკითხველს XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსის და ენციკლოპედისტის ქათიბ ჩელების მოღვაწეობასა და მის ცნობებს კავკასიის შესახებ. ამ პერიოდის ამსახველ სხვა ისტორიულ წყაროებთან მათი შეჯერებით დადგენილი და დაზუსტებულია კავკასიის ისტორიის მთელი რიგი ფაქტები.

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2023
ყველა საავტორო უფლება დაცულია.
დაბეჭდილია საქართველოში.

მთავარი რედაქტორი:
სერგი ჯიქია

რედაქტორი:
მარინა ჟღენტი

კომპიუტერული უზრინველყოფა:
ნინო სუარიძე

ყდის დიზაინი:
ნინო სუარიძე

ISBN 978-9941-9807-5-6

საქართველოს უნივერსიტეტი
კოატავას 77ა
თბილისი, საქართველო 0171
2 55 22 22
info@ug.esu.ge; ug@ug.edu.ge

მესამე გამოცემა

ჰიჰან-ნუმა
ფეგლეჟე
თაკვიმ ათ-თავარის

სარჩევი

წინასიტყვაობა -----	5
ქათიბ ჩელები და მისი შემოქმედება	
XVII საუკუნის ოსმალური ისტორიოგრაფია-----	7
ქათიბ ჩელების ცხოვრება-----	15
ქათიბ ჩელების შრომები-----	17
ჭიჭან-ნუმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ ----	
-----	31
ჭიჭან-ნუმას რუკები-----	43
„ფეზლექესა“ და „თაკვიმ ათ-თავარიხის“ მონაცემები საქარ- თველოსა და კავკასიის შესახებ -----	58
ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ (ქართული თარგმანი)	
სამყაროს მეგზური (ჭიჭან-ნუმა)-----	81
მოკლე გადმოცემა (ფეზლექე)-----	158
ისტორიულ მოვლენათა კალენდარი (თაკვიმ ათ-თავარიხ)-----	224
შენიშვნები-----	229
ბერძნოლოგიური ლექსიკონი-----	259
СВЕДЕНИЯ КЯТИБА ЧЕЛЕБИ О ГРУЗИИ И КАВКАЗЕ-----	263
KÂTIP ÇELEBI' S RECORD CONCERNING GEORGIA AND THE CAUCASUS-----	267
საძიებელი -----	271

წინასიტყვაობა

იშვიათია ის პოპულარობა და პატივისცემა, რაც აღმოსავლურ კულტურაში დამკვიდრებული აქვს შუა საუკუნეთა ისტორიოგრაფიის უდიდეს მოვლენას, ქათიბ ჩელების, იგივე ჰაჯი ხალიფას. „ყოველი ადამიანი ერთი დიდი სამყაროა“, – უთქვამს მას; მით უმეტეს ადამიანი, რომელმაც მთელი სიცოცხლე ცოდნისა და ჭეშმარიტების ძიებას უძღვნა.

ქათიბ ჩელები ოცზე მეტი ნაშრომის ავტორია, რომელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ თავის მკვლევარს ელის. ქართული აღმოსავლეთმცოდნეობაც ვალშია თურქეთის კულტურის ამ უდიდესი წარმომადგენლის წინაშე. წინამდებარე ნაშრომი მცირე წვლილია ამ ხარვეზის შევსების საქმეში.

XVI-XVII საუკუნეთა მანძილზე ირან-ოსმალეთის ომების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი კავკასიის ქვეყნების დაპყრობა იყო. ირანსა და ოსმალეთს შორის ამ პერიოდში დადებულ ხელშეკრულებათა მნიშვნელოვანი მუხლი მუდამ კავკასიის ქვეყნებს ეხებოდა. ასეთ ვითარებაში სპარსულ და ოსმალურ წყაროებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება XVI-XVII ს-თა საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს და კავკასიის შესახებ ქათიბ ჩელების მონაცემების განხილვას.

ისტორიული წყაროს შესწავლა ეჭვით იწყება. მხოლოდ ყოველმხრივი კრიტიკა იძლევა წყაროს გამოყენების უფლებას. კრიტიკა რამდენსამე ძირითად მომენტს ითვალისწინებს: ტექსტის დადგენა, მისი გარეგანი და შინაგანი კრიტიკა. გარეგანი კრიტიკა უკავშირდება ავტორის ვინაობის, მისი შეხედულებების დადგენას, წყაროს შექმნის დროის, ადგილის და მიზნის განსაზღვრას; წყაროს შინაგანი კრიტიკა ცნობათა სარწმუნოების დადგენას. ნაშრომში გაანალიზებული ქათიბ ჩელების ცნობები შედარებულია სხვადასხვა ენაზე არსებულ პარალელურ მასალას, დადგენილია მათი წარმომავლობა, სანდოობა და მნიშვნელობა, გამოყოფილია საკუთრივ ქათიბ ჩელების ტექსტი და მოგვიანო ავტორთა ჩანართები.

ჩვენი არჩევანი განაპირობა ავტორის დიდმა პოპულარობამ, მისი შემოქმედების მრავალმხრივობამ და იმ გარემოებამ, რომ მთხრობელი აღწერილი ნაწილი ფაქტების თანამედროვეა. ქათიბ ჩელების თხზულებები ერთ-ერთი ძირითადი წყაროა მომდევნო ხანის ისტორიკოსთათვის (ნაიმა, მუნეჯიმ-ბაში, შეჰრი-ზადე). ქათიბ ჩელების ნაშრომებიდან, რომლებშიც არის ჩვენთვის საინტერესო ცნობები, ერთი გეოგრაფიაა („ჯიჰან-ნუმა“), მეორე ისტორია („ფეზლექე“), ხოლო მესამე – ქრონოლოგიური ცხრილები („თაკვიმ ათ-თავარიხ“). არც ერთი ნაშრომი არ არის გამოცემული მეცნიერულად. უკანასკნელ წლებში თურქმა მეცნიერმა ო. შ. გოქაიმ ითავა ქათიბ ჩელების ნაშრომების

კომენტირებული გამოცემა თანამედროვე თურქული ლათინიზებული შრიფტით. სამწუხაროდ, მის მიერ გამოცემულ თხზულებათა შორის არ არის ზემოაღნიშნული ნაშრომები. ჩვენს განკარგულებაში იყო მათი უძველესი გამოცემები და „ფეზლექეს“ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილების ხელნაწერი. გარკვეული მიზეზების გამო ქვეყნდება მხოლოდ თარგმანი ოსმალური ტექსტის გარეშე. სქოლიოებში ნაჩვენებია კორექტურული შეცდომები და სხვაობები „ფეზლექეს“ გამოცემულ ტექსტსა და პეტერბურგის ხელნაწერს შორის. ვინაიდან გამოცემები ბევრგან შერყვნილია, ყოველთვის ვერ მოხერხდა ტექსტოლოგიური სიძნელების გადალახვა. ჩვენი ნაშრომი არ აცხადებს პრეტენზიას ტექსტის საბოლოო და ამომწურავ შესწავლაზე. არ არის გამორიცხული, რომ მისი ზოგიერთი ადგილი შემდგომშიც მიიქცევს მკვლევართა ყურადღებას.

თარგმნის დროს პირველ რიგში ვიცავდით სიზუსტეს, ტექსტთან სიახლოვეს. ამის გამო, ქართულ ტექსტში დარჩა ზოგიერთი რამ, რაც, შესაძლოა, ქართველი მკითხველისათვის გაუგებარი იყოს. მაგ., ტოპონიმების არაბული ტრანსკრიფციები. მეორე პრინციპი, რომლის გატარებასაც ვცდილობდით, იყო ტექსტის რაც შეიძლება სრულად თარგმნა, რაც ყოველთვის ვერ მოხერხდა. იძულებული გავხდით უთარგმნელად დაგვეტოვებინა ზოგიერთი ტერმინი, რომელთაც ვერ მოვუძებნეთ ადეკვატი ქართულ ენაში. გეოგრაფიულ სახელთა თარგმნისას მხედველობაში მიიღებოდა, ერთი მხრივ, ტრადიცია, ხოლო მეორე მხრივ, ტექსტის ინდივიდუალურობა. ამაზე გამოიწვია ის გარემოება, რომ ტოპონიმთა ნაწილი დარჩა უცვლელი; მაგ., თებრიზი, თასავი, დარბაზი, დადიანი, მეგრული (მაგრამ: ერევანი, თბილისი, არჯეში, ალაზანი).

ქათიბ ჩელები და მისი შემოქმედება

XVII საუკუნის ოსმალური ისტორიოგრაფია

იარაღით შექმნილ ოსმალეთის სახელმწიფოში იმთავითვე კალამსაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა. ოსმალთ სულტნებს კარგად ესმოდათ, რომ სახელმწიფოს მომავალი ბევრად იყო დამოკიდებული ამ ორი ძალის არსებობაზე. ოსმალურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულებით, საზოგადოება შედგებოდა ოთხი ძირითადი ჯგუფისაგან: სწავლულები (უღემები), მხედრები, ვაჭრები და მწარმოებელი ფენა (რაიათი)¹. მათგან ოსმალთ მოაზროვნეები პრიორიტეტს, ჩვეულებრივ, სწორედ უღემთა (სწავლულთა) და მხედართა (სამხედრო ძალის) ფენებს ანიჭებდნენ. მაგრამ სამხედრო ძალის ისეთი დიდი თაყვანისმცემელიც კი, როგორიც ქათიბ ჩელებია, უფრო მეტად მეცნიერებისაკენ იხრება, ვინაიდან მისი მიზანია „მოაწესრიგოს საზოგადოება და სიკეთე მოუტანოს მას“², მეორე ავტორი მუსტაფა ნაიმა კიდევ უფრო შორს მიდის: „ხალხი იძულებით ჭეშმარიტებას არ მიიღებს. თუნდაც ყველა დახოცო, თავის ჩვევებს არ მიატოვებენ. ამიტომ ამბობენ ოსმალთ მწერლები, რომ ჩვეულებრივ დროს ყველაზე მეტი წესრიგი სახელმწიფოში მოსალოდნელია მოაზროვნე ადამიანებისაგან, მეცნიერთა და სწავლულთაგან, რომელთა დიდი რაოდენობა არასოდეს გახდება საზიანო სახელმწიფოსათვის, როგორც სამხედრო ფენის სიჭარბე“³.

ცნობილია, რომ უკვე ორხან I-ს (1324-1326) ოსმალთა სახელმწიფოს მაშინდელ დედაქალაქში სკოლები დაუარსებია. ამ წამოწყებას მისი შთამომავლებიც აგრძელებდნენ. განათლების დანერგვის ამგვარი ცდების მიუხედავად სწავლა-აღზრდის საქმეს ოსმალეთში პრიმიტიული ხასიათი ჰქონდა; ოსმალეთის გამგებლები უფრო მეტად ხელისუფლების ერთგული ადამიანების აღზრდაზე ზრუნავდნენ. სწავლება ძირითადად შემოიფარგლებოდა ყურანისა და ზოგიერთი იურიდიული კანონის ცოდნით. განათლებულ თურქს ევალებოდა აგრეთვე არაბული და სპარსული ენების ცოდნა. მაგრამ, როგორც ირკვევა, ასეთი სკოლებიც ძალიან ცოტასათვის იყო მისაწვდომი. ამიტომ ურჩევს ქათიბ ჩელები თავის თანამემამულეებს, განუმარტონ მლოცველ ხალხს გაუგებარი

1 كاتيب چلبى، دستور العمل في اصلاح الخلل (შემდგომში ქათიბ ჩელები, რისალე) რსფსრ. მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყ. გრიგორიევის 1939 წ. ხელნაწერი 320, 9, 10 ბ. 11 ა, 12 ა, ბ; იხ. აგრეთვე O.Ş. Gökyay, Kâtip Çelebiden Seçmeler, İstanbul, 1968, გვ. 155 გ. ფუთურიძე, ევლია ჩელები როგორც ისტორიკოსი, „აღმოსავლური ფილოლოგია“, II, თბ., 1972, გვ. 225.

2 ქათიბ ჩელები, რისალე, ფ. 11. ბ

3 В. Д. Смирнов, Кучибей Гёмюрджинский и другие османские писатели XVII века о причинах упадка Турции, СПб., 1873, с. 229.

არაბული ხუტბისა და ნამაზის შინაარსი⁴. კულტურული ჩამორჩენა განსაკუთრებით ნათელი გახდა XVII ს-ში⁵, როდესაც ერთ დროს პროგრესულმა სამხედრო-ლენურმა სისტემამ თავისი როლი ამოწურა და სახელმწიფოს შემდგომი განვითარების მუხრუჭად იქცა. სახელმწიფოს აწმყოსა და მომავალზე ერთადერთი სწორი პასუხის გაცემა, როგორც ოსმალთა მოაზროვნეები თვლიდნენ, ისტორიულ მეცნიერებას შეეძლო. მათაც ამ პერიოდში ყველაზე მეტი ყურადღება ისტორიისაკენ მიმართეს და ოსმალთა სულტნებს მოუწოდებდნენ, დიად წინაპართა მსგავსად, შეისწავლონ ისტორია და აზრი გამოიტანონ ადრეულ სახელმწიფოთა ვითარებებიდან⁶. მუსტაფა ნაიმას აზრით, ისტორიის მეცნიერება ყველა მეცნიერებაზე მაღლა დგას, რადგან ყოველი საკითხი ისტორიით უნდა გადაწყდეს. თავისი თხზულების შესავალში ის ვრცლად საუბრობს ისტორიის მაღალ დანიშნულებასა და იმის აუცილებლობაზე⁷. ქათიბ ჩელეების მიაჩნია, რომ შეუძლებელია აწმყოს შეფასება წარსულის ცოდნის გარეშე და თავის მსჯელობას ისტორიაზე ჯენაბისეული შეფასებით ამთავრებს: „ისტორიის მეცნიერება მწვერვალებს შორის ყველაზე უმაღლესი მწვერვალია“⁸. ავტორის აზრით, ადამიანებმა წარსულის შესწავლით უნდა „გაკვეთილი მიიღონ ყოველგვარი ვითარებიდან, თავი შეიკავონ იმ საზარელი მოვლენებიდან ისტორია რომ მოგვითხრობს და შეითვისონ სასარგებლო“⁹. „ისტორიული მეცნიერების საგნობრივი სფერო მოიცავს წინასწარმეტყველთა, წმინდანთა, სწავლულთა, პოეტთა და ქვეყნის გამგებელთა მოღვაწეობას“¹⁰.

სახელმწიფოს შექმნის პირველი დღეებიდანვე ოსმალეთში მოღვაწეობდნენ მემათიანეები, რომლებიც, ერთი მხრივ, სიამაყით აღწერდნენ სულტნების წარმატებებს, ხოლო, მეორე მხრივ, თავის თხზულებებში იძლეოდნენ ისტორიული ფაქტების ანალიზისა და განზოგადების გარკვე-

4 Kâtip Çelebi, Mizanü'l – Hakk fi İhtiyari'l – Ahakk, Hazırlayan Orhan Şaik Gökyay, İst.: 1972, გვ. 124.

5 XVII ს-ში ოსმალეთის სასწავლებლებში ზუსტი მეცნიერებები მთლიანად უთმობს ადგილს შარიათის კანონების შესწავლას. ამ ხანის ოსმალეთში მეცნიერების ჩამორჩენის შესახებ ლაპარაკია ნაშრომებში: Dr. Aydın Sayılı, İslam and the rise of the seventeenth century science, Belleten 1958, c. XXII, s. 87 გვ. 366; Abdülhak Adnan Adıvar, Osmanlı Türklerinden İlim, Ankara, İstanbul, 1970 გვ. 110, 111.

6 იქვე, გვ. 123.

7 مصطفى نعيمًا، روضة الحسين في خلاصة اخبار الحافقين، ج. 1، استانبول، 33. 4.

8 აღნიშნული ნაწყვეტი არაბული „მოკლე გადმოცემიდან“ („ფეზლექე“) მოთავსებულია წიგნში – O.Ş Gökyay, Kâtip Çelebiden Seçmeler, გვ. 188.

9 იქვე, გვ. 187.

10 ქათიბ ჩელეები იზიარებს აზრს, რომლის თანახმადაც, ხალხის ცხოვრებასა და მის მწე-ჩვეულებებს გეოგრაფია შეისწავლის (იქვე, გვ. 119).

ულ ცდებს. ორხანის დროს განეკუთვნება მოღვაწეობა ისეთი ცნობილი ისტორიკოსისა, როგორიც იყო აშიკ ფაშა-ზადე. ყველაზე მეტ აღმავლობას ისტორიოგრაფია ოსმალეთში აღწევს კრიზისის პერიოდში, ანუ XVII ს-ში, თუმცაღა მემატეიანეები ტრადიციებთან ერთად წინამორბედთაგან ცნობათა დიდ ნაწილსაც სესხულობენ, რის გამოც მათ შორის დიდი მსგავსებაა.

XVII ს-ის მემატეიანეებს ბევრი რამ აერთიანებთ. პირველ რიგში, ამ ხანის მრავალრიცხოვან ისტორიკოსთა უმრავლესობა ბიბლიოგრაფები, ან კომპილატორები არიან. სრულიად განცალკევებულად დგას ამ პლეადაში ერთადერთი ევლია ჩელები – მეისტორიე მოგზაური, თუმცა კომპილირების აღმოსავლეთში არსებულ ძლიერ ტრადიციას ვერც ეს უკანასკნელი აღწევს თავს და ცოცხალი შთაბეჭდილებების გადმოცემის დროს საკუთარ დღიურებთან, ეპიგრაფიკულ ძეგლებთან, ნუმისმატიკურ მონაცემებსა და ფოლკლორთან ერთად არ უგულებელყოფს ნარატიულ და დოკუმენტურ მასალას¹¹. იმ ხანის ავტორებს ისტორიკოსის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნდათ გულწრფელობა, ობიექტურობა, თუმცა ეს მათ, როგორც გარკვეული ქვეყნისა და კლასის (უმთავრესად პრივილეგირებული კლასის) წარმომადგენლებს, სრულიად არ უშლიდა ხელს გამოსულიყვნენ ძირითადად ოსმალეთის ხელისუფლების ინტერესების დამცველებად. ამით ისინი იმასაც უსვამდნენ ხაზს, რომ, ჩვეულებრივ თავის თხზულებებს სულტნებს ან დიდვებირებს უძღვნიდნენ ხოლმე. მაგ., ყარა ჩელები-ზადემ თავისი ისტორიის ძირითადი ნაწილი იბრაჰიმ I-ს, ხოლო დამატება მეჰმედ IV-ს უძღვნა, ქათიბ ჩელები თავისი ქრონოლოგიური ცხრილები დიდვებირ ამჯა-ზადე ჰუსეინ-ფაშას, აბუ ბექრ იბნ ბაჰრამმა „დიდი გეოგრაფიის“ თარგმანი მეჰმედ IV-ს მიუძღვნა და ა. შ¹².

წინარე ხანებთან შედარებით, ერთგვარ სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს წერის სრულიად განსხვავებული სტილი. თუ XVI ს-ის ავტორები კარგ ტონად თვლიდნენ რთული, გაუგებარი ენით წერას (მაგ., საად ად-დინი უქებს სტილს იდრის ბითლისს, მაღალფარდოვნად წერსო, თავის ენას კი თავმდაბლად მხოლოდ საშუალოს მიაკუთვნებს)¹³, XVII ს-ის ავტორები ამასთან დაკავშირებით სხვა აზრის არიან. ევლია ჩელები აღნიშნავს: „ისტორიკოსის მოვალეობაა მის განკარგულებაში არსებული უტყუარი ცნობების გადმოცემა, სადა და ნათელი ენით წერა“¹⁴. ნაიმას

11 Эвлия Челеби, Книга путешествия, Вып. I. Вступление А. Д. Желтякова и А.С. Тверитиновой, М., 1961, с. 10.

12 ვ. სმირნოვი ოსმალთა მეისტორიეებს „მიუკერძოებლებს“ უწოდებს (В. Д. Смирнов, Очерки истории турецкой литературы, Всеобщая история литературы, т. IV, II, 1892, с. 487).

13 В. Д. Смирнов, Очерки истории турецкой литературы, с. 489.

14 გ. ფუთურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 220.

შეხედულებით, ისტორიის დამწერმა თავი უნდა დაანებოს რთულ და გაუგებარ ტერმინებს და ადვილად წასაკითხი და მისახვედრი სიტყვები არჩიოს¹⁵. ენის გამარტივების პროცესი ნათლად არის ხაზგასმული ჰუსეინის მაგალითზე. ეს ისტორიკოსი იმ შემთხვევაშიც კი, სადაც საკმაოდ ზუსტად მისდევს საად ად-დინის ტექსტს, ცდილობს გაამარტივოს იგი და თავისი წინამორბედის არაბიზმები და სპარსიზმები თურქული სტრუქტურითა და ლექსიკით შეცვალოს¹⁶.

XVII ს-ში ოსმალეთში იქმნება სხვადასხვა ტიპის ისტორიული თხზულებები. მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია მსოფლიო ისტორიები, რომელთა უკანასკნელი, შედარებით დიდი ნაწილი, ჩვეულებრივ, ოსმალეთს ეძღვნება. იწერება აგრეთვე ოსმალეთის ისტორიები, ან განსაკუთრებით დეტალურად გადმოცემული ოსმალთა სახელმწიფოს ისტორიის რომელიმე მონაკვეთი. გარდა ამისა, შეიქმნა სხვადასხვა ქვეყნის ისტორიისადმი მიძღვნილი რამდენიმე თხზულება. მსოფლიო ისტორიაში მახვილი გაკეთებულია მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებზე. სახელმწიფოსა და სხვადასხვა სოციალურ საკითხზე მსჯელობის დროს ამ ავტორთათვის ძირითადი ამოსავალი აღმოსავლური ქვეყნებია, ისევე როგორც მათ მიერ გამოყენებული ლიტერატურაც უმთავრესად არაბულ, სპარსულ და თურქულ ენებზეა დაწერილი. ამავე დროს, ამ პერიოდის ოსმალთა ავტორებში არიან ისეთებიც, დასავლურ სამყაროს რომ იცნობენ და მისი აღწერის დროს ევროპულ წყაროებს ეყრდნობიან. ამ უკანასკნელთა რიგს მიეკუთვნება, პირველ რიგში, ქათიბ ჩელები, რის გამოც მას „დასავლეთისაკენ გახსნილი პირველი ფანჯარა“¹⁷ უწოდეს, ევლია ჩელები, რომელიც აღმოსავლურ წყაროებთან ერთად, ბერძნულსაც და ლათინურსაც იყენებდა, და ჰუსეინ ჰეზარფენი – ფ. ბაბინგერის სიტყვით – პირველი ისტორიკოსი, ელადის, რომისა და ბიზანტიის ისტორიისათვის ევროპული წყაროებით რომ სარგებლობდა¹⁸. არსებობს მოსაზრება, რომ იბრაჰიმ ფეჩევიც ფლობდა უნგრულ ენას და თარგმნიდა უნგრელი ისტორიკოსების ნაშრომებს¹⁹. ამ მემკვიდრეობის წინარე ხანის აღსაწერად ძირითადი საყრდენი ნარატიული წყაროებია,

15 ნაიმა, ისტორია I, გვ. 7.

16 А. С. Тверитинова, О турецкой рукописи летописного свода Коджи Хюсейна Беда и улвека'и (том II). Из собрания Ин-та востоковедения АН СССР в Ленинграде, „Исследования по истории культуры народов Востока“, сб. в честь академика И. А. Орбели, М.-Л., 1960. с. 473.

17 Bedi. N. Şehsuvaroğlu, İlham-al mukaddes min-al feyz-al akdes risâlesi ve Kâtip Çelibi'nin ilmi zihniyeti hakkında birkaç söz. Kâtip Çelibi hayatı ve eserleri hakkında incelemeler, Ankara, 1957, 83. 141.

18 F. Babinger, Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke Leipzig, 1927, 83. 228, 229.

19 იქვე, გვ. 133.

თუმცა ზოგიერთი მათგანი, მათ შორის ჰუსეინი, იბრაჰიმ ფეჩევი, ქათიბ ჩელები, დოკუმენტურ მასალასაც იყენებს.

XVI-XVII სს. ოსმალთა ისტორიკოსთა თხზულებების დიდი ნაწილი ჯერაც არ არის გამოცემული²⁰, ხოლო რამდენადაც დღემდე გამოცემულ ნაშრომთა მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, მათში მოვლენები ძირითადად ერთნაირი წესითაა გადმოცემული: თარიღებისა და სულტნების ზეობის წლების, ან დინასტიათა ისტორიების მიხედვით. თითოეული წლის დასასრულს მოხსენიებული არიან იმ წელს გარდაცვლილი სწავლულნი, სასულიერო პირები, გამგებლები და სხვა გამოჩენილი ადამიანები. დიდი ადგილი ეთმობა თხზულებებში ციტირებებს ყურანიდან (მაგალითად, ქათიბ ჩელების და ნაიმას თხზულებებში ჩართულ ჯერაჰ-ბადეს ნაშრომში). ეს ავტორები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. მრავალ საერთო ცნობას იძლევიან და ძალიან ხშირად ერთიდაიმავე წყაროებით სარგებლობენ. მათ თხზულებებს შემოკლებით უბრალოდ „თარიხ“ (ისტორია) ჰქვიათ, მაგრამ, ჩვეულებრივ, ავტორები თავის ნაშრომებს მხატვრულ დასახელებებს აძლევენ, როგორც „წმინდანების ბაღი“ (ყარა ჩელები-ბადე), „სიკეთის ბაღი, ქვეყნების ამბების მოკლე გადმოცემა“ (ნაიმა) და ა.შ. ყველა ამ ისტორიკოსის ნაშრომში არის ორიგინალური ნაწილიც, სადაც ავტორები აღწერენ საკუთარი თვალით ნანახს, ან თვითმხილველთაგან მოსმენილს. ეს ცნობები განსაკუთრებით საყურადღებოა, თუმცა უზუსტობებისაგან არ არის დაზღვეული. რაც შეეხება პირველ კომპილაციურ ნაწილს, ხშირად მასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან XVII ს-ის მეისტორიეთა თხზულებები ერთადერთი საშუალებაა ზოგიერთი წყაროს გასაცნობად. მაგ., ნაიმას შეტანილი აქვს თავის ისტორიაში შარიჰ ულ-მენარ-ბადე აჰმედ ეფენდის ისტორია, რომელშიც აღწერილი იყო მოვლენები მეჰმედ I-ს დროიდან მეჰმედ IV-ის ხანამდე. მანვე შემოგვინახა ჩვენთვის უცნობი თავისი თანამედროვის მაან ოღლუს გადმოცემები²¹. მუნეჯიმ ბაშის დამსახურებად ითვლება XII ს-ის ერთ-ერთი მეტად საინტერესო ისტორიის „თარიხი ბაბ ალ-

20 უკანასკნელ ხანებში თურქეთში ისტორიული მეცნიერებისა და პუბლიკაციისადმი გარდილი ინტერესი იმედს გვაძლევს, რომ გამოუცემელ ნაშრომთა რიცხვი თანდათან იკლებს. (ისტორიული მეცნიერების შესახებ თურქეთში იხ. Ю. А. Петросян, Изучение истории современной Турции, Вопросы истории. 1969, № 7, с. 189-194; А. Ф. Миллер, VII Турецкий исторический конгресс, Народы Азии и Африки, 1971, № 3, с. 233-234; Ю. А. Петросян, В центрах исторических наук и библиотеках Турции, Народы Азии и Африки, 1973, № 3, с. 238-241). გამოცემულია შემდეგ ავტორთა თხზულებები: მეჰმედ ბ. მეჰმედის (გარდაიცვალა 1640 წელს), ჰუსეინის (გარდაიცვალა 1644 წ.) მეჰმედ სოლაჰ-ბადესი (გარდ. 1657 წ.) იბრაჰიმ ფეჩევის (1574-1650), ქათიბ ჩელების (1609-1657), ყარა ჩელები-ბადესი (1591-1658), ევლია ჩელების (1611-1679), აჰმედ მუნეჯიმ-ბაშის (გარდ. 1702 წ.) მუსტაფა ნაიმასი (გარდ. 1716 წ.).

21 ამ ავტორთა შესახებ ცნობებს გვაწვდის თვით ნაიმა თავისი ისტორიის შესავალში (გვ. 9, 10).

აბგაბის“ შემონახვა. როგორც ვ. მინორსკი შენიშნავს, მისი ხელნაწერი უკვე მუნეჯიმ ბაშის დროსვე დეფექტური ყოფილა²². აღსანიშნავია, რომ XVII ს-ის ავტორები ძირითადად პირველ ნახევარში მოღვაწეობდნენ. ბევრია მსგავსი მომენტი მათ ბიოგრაფიებშიც. ყველა ესენი თავიანთი საქმიანობით სხვადასხვა მოხელეები არიან (დევეთერდარები, ყადიები, უწყებათა მდივნები), ე.ი. სულტნის კართან დაახლოებული პირები, რომლებსაც ხელი მიუწვდებოდათ დავთრებსა და სხვადასხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტებზე. მათ შორის არიან კარის ისტორიკოსები, მაგ., ნაიმა, რომელსაც ისტორიის დაწერის დავალებასთან ერთად თავის მფარველ დიდვზირ ამჯა-ბადე ჰუსეინ-ფაშასაგან კარის ოფიციალური ისტორიკოსის (ვაკა-ი ნევისის) წოდება მიუღია²³.

ამავე პერიოდში იქმნება წმინდა წყლის კომპილაციებიც, თითქმის მოკლებული მეცნიერულ ღირებულებას, და თარგმანები, ძირითადად არაბული ენიდან.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში XVI-XVII ს-თა მიჯნაზე მომხდარი ცვლილებები ისტორიულ მწერლობაში ახალი ჟანრის – რისაღეს შექმნით აღინიშნა. „რისაღეების“ ავტორები, აინი ალი (რისაღე დაიწ. 1604-1609 წწ.), კოჩი ბეი გორიჯელი (დაიწ. 1640-1648 წწ.), ქათიბ ჩელები (50-იანი წწ.), ჰუსეინ ჰეზარფენი (1673 წ.) ოსმალეთის ხელისუფლებას კრიზისიდან თავის დასაღწევად სხვადასხვა ღონისძიებას სთავაზობდნენ. მათი ზედაპირული და ზოგჯერ გულუბრყვილო მსჯელობები საშუალებას იძლევა აღვადგინოთ იმდროინდელი ოსმალეთის პოლიტიკური და საშინაო სურათი. დაცარიელებული ხაზინა²⁴, გლეხთა უკიდურესი გაღატაკება, მექრთამეობა, არმიის რაოდენობა ზრდა, შფოთი და ღალატი, გავერანებული და მიტოვებული სოფლები – ასეთია XVII ს-ის ოსმალეთის სახელმწიფო ამ ავტორთა ნაშრომების მიხედვით²⁵.

რისაღეების ავტორთა აზრი ხშირად ერთმანეთს ემთხვევა. კრიზისის პერიოდში ისინი გამოსავალს ჯარის სიძლიერეში, დაპყრობით ომებსა და მტკიცე დისციპლინაში ხედავენ²⁶. ყოველი მათგანი ერთნაირად წი-

22 В. Минорский, История Ширвана и Дербенда, М., 1963, с. 16.

23 Naima, hayatı, sanatı, eserleri, hazırlayan Asaf Halet Çelebi, İstanbul 1953, gg. 5.

24 ხაზინის შემოსავლისა და გასავლის თანაფარდობა სხვადასხვა პერიოდში ასეთია: 972 წ. 1830 იუქი – 1896 იუქი; 1000 წ. 2193 – 3604; 1006 წ. 3000 – 9000; 1053 წ. 3618 – 5500; 1060 წ. 5329 – 6872. (ქათიბ ჩელები, რისაღე).

25 აღნიშნული ეწინააღმდეგება ზოგიერთი თურქი მეცნიერის მტკიცებას შუა საუკუნეთა ოსმალეთში იდეალური სახელმწიფო წყობის არსებობის შესახებ (А.С. Тверетинова, Фальсификация истории средневековой Турции в кемалистской историографии, „Византийский временник“, т. VII, 1953, с. 9).

26 მათი მსჯელობა არ განსხვავდება წინარე ხანის აღმოსავლეთის ისტორიკოსთა მსჯელობებისაგან, რომლებიც ისეთივე მომხრეები არიან ძლიერი მონარქიისა და ცენტრა-

ნააღმდეგია გადასახადის გადამხდელი ფენის – რაიას გადაჭარბებული ექსპლუატაციისა. მათ თხზულებებში ხშირად გაისმის გაფრთხილება: „თუ რაია გაღატაკდა, ოსმალეთის ხაზინაც დაცარიელდება“²⁷.

სახელმწიფოს ისტორიის პერიოდიზაცია ქათიბ ჩელებისა და შემდეგ ნაიმას მიხედვით, ადამიანის სიცოცხლის მსგავსად, სამ საფეხურს მოიცავს: „ზრდის, სიმყარისა და დაცემის“²⁸. ამგვარი მსჯელობიდან გამომდინარე, ყველა სახელმწიფოს დასასრული გარდაუვალია. ამავე დროს, მათ მიაჩნიათ, რომ ძლიერ მონარქს შეუძლია სახელმწიფო მოსპობას გადაარჩინოს. ამიტომ მოუწოდებენ გამგებლებს დაუბრუნდნენ მართვის ტრადიციულ ფორმებს²⁹: „წინათ სულტნები რაიას ჩაგვრისგან იფარავდნენ, სამართლიანად ექცეოდნენ, მათი გულების მოგებას დიდ ყურადღებას უთმობდნენ, ოსმალეთის არც ერთი სოფლის დანგრევის ნებას არ აძლევდნენ“³⁰.

XVI-XVII საუკუნეებში ისტორიული ლიტერატურის აღორძინებასთან ერთად ოსმალეთში პარალელურად ხდებოდა გეოგრაფიული მწერლობის აღმავლობა. მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე თურქები განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდნენ კოსმოგრაფიებით, ანუ, აკად. ი. კრაჩკოვსკის განმარტებით, ისეთი „აღწერილობით ..., სადაც გეოგრაფიას ეთმობოდა მხოლოდ ერთი ნაწილი, ასტრონომიის, ანთროპოლოგიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის, მინერალოგიის და ყოველგვარი მითოლოგიის გვერდით“³¹.

ლიმბებული სახელმწიფო აპარატის, აქტიური დაპყრობითი ომების, დისციპლინისა და გლეხთა ზომიერი ექსპლუატაციის. (А. А. Али-Заде, Общность взглядов учёных Ирана и Азербайджана XI-XIV веков по вопросам социально-экономического характера (Низам ал-Мульк, Рашид ад-Дин и Мухаммед Нахчевани) Изв. АН. Азерб. ССР, Серия истории, философии и права, Баку, 1968, I, 1969, I.

27 ქათიბ ჩელები, რისაღე; О. Ш. Gökyay, Kâtip Çelebiden Seçmeler, gv. 159; В. Д Смирнов, Кучибей Гёмюрджинский, გვ. 219; ერთნაირი აზრები აქვთ გამოთქმული ქათიბ ჩელების („სამყარო ურწმუნოებამ კი არა, ჩაგვრამ დაანგრია“) და კოჩიბეი გორიჯელის („ურწმუნოებისგან სამყარო არ დაინგრევა, არამედ იქნება თავისთვის, ჩაგვრას კი ვერ გაუძლებს“) (۱۱۴۶ قسطنطينيه، ص. ۱۱۴۶) შემდეგში: ქათიბ ჩელიბი, თავკიბ ათ-თავარიბ) ბოლოსიტყვაობა: В. Д Смирнов (დასახ. ნაშრომი, გვ. 143), აგრეთვე „თუ ამოწყდა გლეხიკაცი საქართველოც დაძაბუნდა“ (არჩილი).

28 ქათიბ ჩელები, რისაღე, შესავალი, ისტორიულ მოვლენათა კალენდარი, ბოლოსიტყვაობა: О. Ш. Gökyay, დასახ. ნაშრომი, გვ. 115, 155; ნაიმა, ისტორია, I, გვ. 28.

29 XVII ოსმალთა მოაზროვნეთაგან შორს არ არის წასული არც ზოგიერთი თანამედროვე თურქი მეცნიერი, რომლებიც ოსმალეთის დაცემის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიიჩნევენ გადახვევას მართვის მიღებული წესებიდან (А. С. Тверетинова, Фальсификация истории средневековой Турции в кемалистской историографии, с. 9).

30 ქათიბ ჩელები, რისაღე; О.Ш. Gökyay, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

31 И. Ю Крачковский, Турецкая географическая литература XV-XIX вв. Избранные сочинения, т. IV, М.-Л., 1957, с. 591.

კოსმოგრაფიულ-გეოგრაფიული ჟანრის შექმნაში თურქები ნოვატორები არ ყოფილან და, მსგავსად ირანელებისა, არაბული ტრადიციების გამგრძელებლებად გამოდიოდნენ. ეგვიპტის სულტნის სამფლობელოების შემომტკიცების შემდეგ ეგვიპტიდან გამოტანილ არაბულ თხზულებათა ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე ოსმალებმა არაერთი ისტორიული და გეოგრაფიული ნაწარმოები შექმნეს.

XVII ს-მდე თურქებმა შექმნეს რამდენიმე დამოუკიდებელი გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომი. XV ს-ში დაიწერა აჰმედ ბიჯანის მითოლოგიურ-კოსმოგრაფიული ტრაქტატი „დურრ-ე-მაკნუნ“ („მალული მარგალიტი“) და იმავე ტიპის ანონიმური თხზულება „მირათ ალ-ავალიმ“ („სამყართა სარკე“). აღნიშნულ ნაშრომებს დიდი მეცნიერული ღირებულება არ აქვთ და ყურადღებას იქცევს მხოლოდ როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოების შექმნის პირველი ცდა. თურქული გეოგრაფიის შემდგომ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ზღვაოსნებმა ფირი რეისმა და სიდი ალი რეისმა ნაშრომებით: „მსოფლიო რუკა“ (1513 წ.), საზღვაო ატლასი „ბაჰრიე“ (1523 წ.), „მუჰიტ“ („ოკეანე“ – 1554 წ.) გეოგრაფიული თხზულება „მირათ ალ-მამალიქ“ („ქვეყნების სარკე“). XVI ს-ის თურქული გეოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს მეჰმედ აშიკის თხზულება „მანარიზ ალ-ავალიმ“ („სამყართა სანახაობანი“ – 1598 წ.), თუმცა ავტორი თავს ვერ აღწევს წინამორბედთათვის დამახასიათებელ ნაკლს და სრულიად არ ითვალისწინებს დასავლეთ ევროპის იმდროინდელ მიღწევებს. „ამ თხზულებამ ერთგვარად დაამთავრა ოსმალეთის გეოგრაფიული ლიტერატურის აღმოსავლური პერიოდი, მაგრამ მის ავტორს აშკარად ჰქონდა მიზანი შეექმნა ნაწარმოები, რომელიც გეოგრაფიული ლიტერატურის ახალი აღმავლობის საფუძველი გახდებოდა“³². მეჰმედ აშიკის ნაშრომის ხელნაწერები ძალიან იშვიათია და თითქმის შეუსწავლელი, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ავტორს თავისი თხზულება მხოლოდ შავად დაუმთავრებია³³.

გემოაღნიშნული მემკვიდრეობის საფუძველზე, მცირე ტრადიციების მიუხედავად, XVII საუკუნეში ოსმალეთში იქმნება საკმაოდ მნიშვნელოვანი თხზულებები გეოგრაფიის დარგში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ქათიბ ჩელებისა და ევლია ჩელების.

32 F. Taeschner, Die Geographische literature der Osmanen, Zeitschrift der deutschen morgenländischen Gesellschaft im auftrage der Gessellschaft, Leipzig, 1923, გვ. 48.

33 გვ. 14 ۱۱۴۵، کتاب جهان‌نما، قسطنطنیه، (შემდეგში ქათიბ ჩელები, ჰიჰან-ნუმა).